| გაზეთის ფასი | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 5 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საკუთარს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურს და კრიქორიანცის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


«ივერიის» რედაქციაში ხელის-მოწერისა და განცხადების მიღება შეიძლება მხოლოდ დილის ათ საათიდამ ნაშუადღევის ორ საათამდე და საღამოს შვიდიდამ რვა საათამდე. მხოლოდ ამავ დასახელებულ საათების განმავალობში შეიძლება პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან.

---

ტფილისი, 21 აგვისტო

ეს ორი-სამი დღეა, რაც არა ისმის-რა იმის შესახებ, თუ რომელი საშუალება აურჩევიათ ევროპის სახელმწიფოებს ბოლგარიის საქმის დასასრულებლად. ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ყველა საშუალებანი, რომლებითაც, დიპლომატიის და მწერლობის აზრით, შესაძლებელი იყო იგი საქმე დაებოლოვებინათ. როგორც სჩანს, იმ საშუალებათა გამო სახელმწიფოები ვერ შეთანხმებულან და ამიტომ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ან სხვა რომელიმე საშუალება უნდა აღმოაჩინონ, მაგრამ ეს მოუხერხებელ საქმედ მიგვაჩნია, რადგანაც, ჩვენის აზრით, ყოველ გვარი საშუალება უკვე იყო დასახელებული, ან და, რადგანაც ვერავითარი საშუალება ვერ აღმოუჩენიათ, ბოლგარიის საქმე მიანდონ თვით ბოლგარებს...

ეს უკანასკნელი მოსაზრება ზოგიერთთ სამართლიან მოსაზრებად მიაჩნიათ და აი რა მიზეზით: ოსმალეთმა უკვე აცნობა ბოლგარიის მთავრობას, რომ თვით ოსმალეთი და ევროპის სახელმწიფოები ვერ დასთანხმდებიან მასზედ, რომ პრინცმა ფერდინანდმა იმთავროს ბოლგარიაში და ამიტომაც წინააღმდეგნი არიან პრინცის მოქმედებისაო; ეგეთი აზრი ოსმალეთისა და სხვა სახელმწიფოებისაცა სოფიაში სრულიად უყურადღებოდ დაუგდიათ. პრინც ფერდინანდს ამ გზობით სურვილიც არ მოსვლია, რომ სახელმწიფოთა აზრს და თავის მდგომარეობას ჩაჰკვირვებოდეს, თავისი აწმყო და მომავალი აეწონდაეწონოს. ალბად დარწმუნებულია, როგორც უწინაც გვითქვამს, რომ ვერავინ მიიტანს ძალ-მომრეობას ბოლგარიაზე, რადგანაც ისეთი ერთგული მომხრეები ჰყავს, როგორიც ინგლისი, ავსტრია და იტალიაა. ამ სახელმწიფოებზე დაიმედებულს პრინცს ფერდინანდს, რასაკვირველია, ნება აქვს ნაკლები ყურადღება მიაქციოს სახელმწიფოთა უთანხმოებას ბოლგარიის საქმის გამო. პრინცს შეიძლება საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ერთი რომელიმე დასი სახელმწიფოთა, მაგალითად, რუსეთი, ოსმალეთი და შეიძლება გერმანიაც არ მოისურვებენ დაარღვიონ ევროპის მშვიდობიანობა და ხმალ და ხმალ გადასწყვიტონ ბოლგარიის საქმე.

თუ პრინცის ფერდინანდის იმედს და აზრს რაიმე საფუძველი აქვს, თუ მართლა იმედი აქვს, რომ ბოლგარიის საქმე მისდა სასარგებლოდ გადასწყდება, მაშინ შეგვიძლია ვიკითხოთ, თუ რისი იმედი დარჩენიათ იმათ, ვინც ვერც პრინც ფერდინანდის მთავრობას შეიწყნარებენ და არც ის უნდათ, რომ ევროპის მშვიდობიანობა დარღვეულ იქმნას. პეშტის ერთი საოფიციოზო გაზეთი სწერს, რომ თუ სახელმწიფოთა მდგომარეობას ჩაუკვირდებითო, შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ევროპა ბოლგარიის საქმის გადაწყვეტას თვით ბოლგარებსვე მიანდობს და რომ სახელმწიფოები არ ჩაერევიან ბოლგარიის საქმეში. ერთად ერთი იმედი შესაძლოა იქონიონ მხოლოდ იმ დასებსა და პარტიებზე, რომელნიც თვით ბოლგარიაში ებრძვიან ერთი ერთმანერთს. შეიძლება ვიფიქროთ, ამბობს გაზეთი, რომ დასებსა და პარტიებს შორის ბრძოლა დაასრულებს ბოლგარიის საქმეს იმით, რომ პრინცი ფერდინანდი იძულებული იქმნება თავი დაანებოს ბოლგარიის სამთავრო ტახტსა.

ის გარემოება, რომელზედაც მიუთითებს იგი გაზეთი, სწორედ რომ საშიში და დამღუპველია. ყოველ გვარი შინაური განხეთქილება, უსიამოვნობა ისეთი რამ არის, რასაც შეუძლიან ბოლო მოუღოს ყოველს კეთილს საქმეს, განზრახვას. როცა რომელსამე სახელმწიფოში, ან ადამიანთა კრებულში უსიამოვნობა და შფოთი ტრიალებს, როცა სხვა და სხვა დასები, წევრნი საზოგადოებისანი სცდილობენ ერთმანერთს ძირი გამოუთხარონ, და მხოლოდ საკუთარს ინტერესებს მისდევენ და საერო და საზოგადო საჭიროებას ივიწყებენ, მაშინ ცხადია, რომ იგი სახელმწიფო, ან ადამიანთა კრებული უბედურ მდგომარეობაშია, რომ მათ დღენის მძიმე მომაკვდინებელი სენი.

ეხლა ვიკითხოთ, თუ რა მდგომარეობაშია ბოლგარია? რასაკვირველია, ბოლგარიაშიაც არსებობენ სხვა-და-სხვა ერთი-ერთმანერთის მოწინააღმდეგე დასნი, მაგრამ მას აქეთ, რაც ბოლგარიის საქმემ ევროპის ყურადღება მიიქცია, მას აქეთ ბოლგარნი შეძლებისა დაგვარად თანხმობით და მედგრად მოქმედობდნენ. ეს გარემოება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბოლგარიაში დასთა ბრძოლა იმდენად ძლიერი და შფოთიანი არ არის; ამიტომაც ძნელად საფიქრებელია, რომ შინაურმა განხეთქილებამ ბოლო მოუღოს ამოდენს მეცადინეობას ბოლგართა ხელმძღვანელებისას. გარდა ამისა, უეჭველია, თვით ბოლგარებსაც იმოდენად მოსწყინდათ ეგოდენი შფოთი, შიშიანობა, რომ თუ ვინიცობაა ევროპამ ბოლგარიაზე ხელი აიღო და იმის საქმეში არ ჩაერია, მაშინ თვით ბოლგარნიც დამშვიდდებიან და თავს დაანებებენ პოლიტიკურს მღელვარებასა და შფოთსა. ბოლგარნი იმ გვარს მდგომარეობაში არიან, რომ მათთვის მშვიდი ცხოვრება და შინაგან ცხოვრების მომჯობინება მეტად საჭირო და სანატრელია; ამიტომაც ისინი, უეჭველია, დაივიწყებენ ყოველს გვარს შფოთს და უსიამოვნობას. მაინცა-და-მაინც უმჯობესი იქმნება, რომ თვით ბოლგარებმა დააბოლოვონ საკუთარი საქმე, თუნდაც შინაური განსაცდელი და განხეთქილება მოელოდეთ.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ბ-ნი მდივანი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 21 ს აგვისტოს ბ-ნმა გ. საძაგლიშვილმა გარდასცა „საზოგადოებას“ ცამეტი მანათი, რომელიც მას მოეკრიბნა თავის ნაცნობებში სასარგებლოდ ამა საზოგადოებისა. ბ-ნი მდივანი დიდს მადლობას უძღვნის ბ-ნს საძაგლიშვილსა და მის ნაცნობებს ამ შეწირულობისათვის.

*** ჩვენა ვნახეთ ის ნომერი ძველის ქართულის გაზეთისა, რომელიც ბ-ნს ს. მგალობლიშვილს გარდაუცია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავში. გაზეთსა ჰქვიან „ტფილისის უწყებანი“ № 19. დაბეჭდილია ოთხშაბათს, 7 ნოემბერს, 1828 წელსა. გაზეთს თავში გაკეთებული აქვს კარგა მოზრდილი და ლაზათიანად გამოყვანილი ქართული ღერბი წმინდა გიორგის ხატითა. რედაქტორსა და გამომცემელს არ უწერიათ ხელი.

*** ტფილისის ბაზრებში პოლიციას თვალ-ყური უჭირავს, რომ დამპალი რამ ხილი არა ჰყიდონ ბაყლებმა და კინტოებმა, მაგრამ უკანასკნელნი მაინც ადვილად ახერხებენ მყიდველების მოტყუებას და ჰყიდიან დამპალ ნესვსა და საზამთროს. ზოგი მათგანი-კი უვროა მორცხვობს და ქალაქის ქუჩებში არ შემოაქვს თავისი დამპალი საქონელი. ამ მორცხვებს თავიანთ ბაზრად გაუხდიათ ტფილისის ვოგზალი,—იქ მთელის ვაგონებით

---

## ფელეტონი

### ფშაური ლექსები

ფშავში შეკრებილი დ. ხიზანაშვილის მიერ

შენ, კიმკაველთა ნეფეო,
შენგნით შაეებით დევთაო;
გამამიგზავნე წამალი,
ზურაბი მხეევავ ხელთაო...

—

როსტომ თქვა: დღეიმც კრულია
დაბადებისა ჩემისა,—
სიყრმე სიბერედ ვაქციე,
დღე ვერა ვნახე ლხინისა;
ვერ გავიხარე კისერი,
უღელი მედვა რკინისა!

—

— შემაკვდი, შვილო ზურაბო,
გავხმი უშტოო ხეითა;
ვაი მამაშენს, ზურაბო,
მოკლულო მამის ხელითა!

—

—ვინ გითხრა, მაქანაძეო,
როსტომ მასთხარე ძირშია?
როსტომი არ მაითხრება,
სანამ სულ უდგა პირშია!

═

მანგლისი რომააშენეს,
წყარო ადინეს მილითა,
ადგანან კალატოზები,
გვერდებს ულესენ კირითა;
შიგა ზის ქალი ლამაზი,
ხელებ ნალები ინითა,
მემცხვარე შამოეჩეია,
ყველს უზიდავდა სინითა.
იმ ქალ მაც ხელი შეუწყო
ღვინოს ასმევდა მინითა...
მემცხვარემ გამაუცხადა
თავის ბეჩავის პირითა:
—ნეტავი, ქალო ლამაზო,
შენთან გამაძლო ძილითა!
ქალმა შესწყევლა მემცხვარე
თავის ლამაზის პირითა:
— მემცხვარევ, ცხვარი გაგიწყდეს,
შიგ გარეული ვირითა!
ახლა მემცხვარემ შესწყევლა
თავის ბეჩავის პირითა:
—მანგლისიმც ამოვარდება,
ქვა აღარ იდვას ძირითა;
ქალი მტერს ტყვედ წაეყვანოს,
ვაი-ვაგლახით, ჭირითა,
უკან მასდევდეს საქმარო
თავისი დამბლა ვირითა,
მემცხვარეც უკვენ მისდევდეს,
თეთრი მიჰქონდეს ქისითა,
დაეხსნას, წამაეყვანოს
დაფა-ზურნითა, სტვირითა!..

—

ქალობა დაიკვეხოდეს
ქალმა ხვარამზისთანამა,
ვერც გასჭრა ხმალმა ფრანგულმა,
ვერც შააშინა დანამა!

—

ჯავრო, არ მოგცემ ნებასა,
გულო, არ დაგაშავებო,
მტერო, არ შეგეპუები,
ხმალო, შენ გაგაფხავებო!

—

დამასტესა ემკი ყანასა,
ძნა მამდევს ჯარა-ჯარასა;
წყალს არვინ გამამახდინა,
ცრემლი მდიოდა ღვარასა.
მიჩელიშვილო, ლაგაზო,
შარჩა შენს დედა-მამასა!
წყალსა შენ გამამახდინე,
შამისვი ცხენის გავასა;
დამინდე, არ მიღალატე,
ქალმ თავი მოგეც ნებასა;
აიქამც გაგემარჯვება,
ხმალნი რომ ჩაელენ გელასა,
მოციქულობენ ტყვიანი,
შუბნი იქნევენ ენასა!..

—

ქალი ტიროდა ქანანა
შუა ქართლისა მთასაო...
—წმინდამ გიორგიმ დასწყევლოს
ვინც ქალი ენდოს ქმარსაო,
ცრუვსა და ამპარტავანსა,
წვერ-უხვეველსა ყრმასაო!
მიყოლა, გადამიყოლა,
გამწირა შუა გზასაო;
წუხელ მოვიდა ლაშქრითა,
თვალის არ წასვლის ხანსაო,
საკმიდან ჩამამიძრახა—
რად არ გამიღებ კარსაო?
ავდექ და კარი გავუღე
შუაღამისა ხანსაო;
მე საკოცნელად მივმართე,
იმან ხელი მკრა ყბასაო:
— შე ბოზო, ბოზის გაზდილო,
რაღას აკეთებ აქაო!?
ავდექ, ავანთე სანთელი,
შავუდეგ შავსა გზასაო;
უკან ვიხედე, მამდევდა,
მააგელებდა ხმალსაო;
ლოყა უგვანდა სინასა,
შუბლი ქასურსა ქვასაო.
დავჯე სალამი მივართვი:
—ნუ მამკლავ ოხრის ქალსაო...
—არ ვიცი ოხრის ქალობა,
მე მტრულად მოგჭრი თავსაო!..

—ვინა ხარ? ვინ იარები
მაგ საქარავნო გზასაო?
გადადი, გადაუძრახე
შალვას, ქანანას ძმასაო:
დას გიკლევენ შარა გზაზედა,
გულზედ იძახის ვასაო;
გულზედ გააკრევენ ფიცარსა,
გაუქანებენ ზღვასაო;
იმის წითელი პერანგი
პერად მოედო წყალსაო,
შემოსჩვევიყო თევზები,
იმის დინგილოს[39]) ჭრასაო,
ხავსი მოედვა წყალშია
შვიდავ ნაწნავსა თმასაო!..

—

თუშო, ნუ ჩახვალ ხოშარას,
ხოშარა ეკლიანია;
შიგ სამნი მგელნი ბუდობენ,
სამნივე ლეკვიანნია;
თუ ჩახვალ, ველარ ამოხვალ,
გიორგი ეტლიანია...

—

მზე წინ-წინ გომბორზე მოვა,
შუქი ალავერდს ჩადგება!
ადგილიმც დაილოცება,
სადაც თეიმურაზ ბძანდება;

[39]) ქალის სამკაული

ჩამოდის ნესვი და საზამთრო. რაც კარგია, დუქნებში გააქეთ, და რაც დამპალია, იმას იქვე ვაგზალზე ჰყიდიან. ურიგოს არ იზამდა პოლიცია, რომ ეს მორცხვი ვაჭრები ინახულოს ხოლმე ხშირად, გაუსინჯოს საქონელი და, თუ დამპალი გამოდგა, გადუყაროს.

⁂ შუა ქართლში წლევანდელი მოსავალი პურისა ძალიან ცუდია თურმე. სარწყავ მამულებიდგან ისე მცირე გამოსავალია, რომ 60 ძნიდგან ძლივ-ძლივობით ორი კოდი პური გამოდის, როდესაც შარშან ოთხი-ხუთი კოდი გამოდიოდა. ურწყავის მამულებიდგან შედარებით უკეთესი გამოსავალია. ვენახების იმედი ჰქონდათ და ეს იმედიც გაუცრუვდათ: ვენახებს ცუდად ასხია და რაც ასხია, ისიც მთლად გაფუჭდა რაღაც უცნაურ ავადმყოფობით. მცხოვრებლები ძალიან დაღონებულნი არიან ამ გარემოებით და სიმინდის იმედი-ღა აქვთ.

⁂ ღვესასწაულზედ ქვათახეობას ძალიან ცოტა ხალხი დასწრებია, თუმცა-კი მხიარულობას და დროს გატარებას სამზღვარი არა ჰქონდა. დიდის სასოებით გადახდილმა წირვა-ლოცვამ ხალხი ბლომად მიიზიდა, მომეტებულად გლეხობა. დასასრულ, მონასტრის ახალმა წინამძღვარმა, ნიკოლოზ არხიმანდრიტმა, წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა და კარგი შთაბეჭდილებაც მოახდინა მსმენელებზე.

⁂ ქვათახევის მონასტრის ახალ წინამძღვარს ნიკოლოზ არხიმანდრიტს განუძრახავს სადიაკვნო სკოლის დაარსება მისდამი რწმუნებულ მონასტერთან. ამ სკოლის დანიშნულება იქნება: რიგიანად გამართოს დიაკვნები წერა-კითხვაში და გაავარჯიშოს ივინი გალობაში და წირვა-ლოცვის წესებში.

⁂ ამ ბოლოს დროს, ბ-ნ მზრუნველის განკარგულებით, შენდება სკოლისათვის შენობები ახალის გეგმით. ორი ამისთანა სკოლის შენობა სიღნაღის მაზრაშია, სოფელ ბოდბესა და ქვემო-მაჩხაანში, თითოეულში ორი კარგი მოზრდილი ოთახია ყოველ გვარ თავისის მოწყობილობით და სამზარეულოთი. მოსწავლეთათვის ერთი დიდი სასწავლო დარბაზია. მასწავლებლის ოთახის და დარბაზის შუა მოთავსებულია ფართო ტალანი და წინ კიდევ აივანია, სადაც შეისვენებენ ხოლმე შეგირდები თვითეულ გაკვეთილის შემდეგ. ასეთი შენობა სწორედ სამოთხეა შედარებით სხვა სასოფლო სკოლებთან. მომეტებულად სოფლებში იმისთანა ნესტიან და ბნელ შენობებში ასწავლიან შეგირდებს, რომ ძნელად არის ასატანი, რადგან ძრიელ ცუდი გავლენა აქვს ამ შენობებს როგორც მოწაფეების, აგრედვე მასწავლებლის ჯან-მრთელობაზედ.

თუმცა იმ სოფლებში, სადაც გამართულია სკოლები, მცხოვრებნი კარგად შეძლებული ხალხია და ამათთვის დიდი არაფერი იქნება შენობის გაკეთება ახალის გეგმით. ხოლო ეს საქმე თავს უნდა იდონ და ხელი მოჰკიდონ იმათ, ვინც მოვალენი არიან.

⁂ 19 აგვისტოს გორის მაზრაში საშინელი უბედურება ეწვია სოფელ კოდას. იოსებ თარხნიშვილის მამულში მდგომი რვა კომლი გლეხი თითქმის ერთიანად გადაიწვა. ხის მშვენიერი საბძლები, ბზით გატენილი, აუარებელი ძნა და ნალეწი ჰირნახული, რომელიც საბძლებში ჰქონდათ მომზადებული, რომ მებატონისათვის მიეცათ ღალად, სულ მთლად ჩაბუგა საშინელს ქარზედ გაძრიელებულმა ცეცხლმა. როგორ გაჩნდა ცეცხლი, ჯერ ნამდვილად არავინ იცის, და ხოფლის ზარალი-კი ხუთას თუმანს აღემატება. ამათში ორ კომლს, წერილ-შვილით სავსე ოჯახს, არც ერთი ლუკმა არ გადარჩენიათ საზრდოდაო, გვატყობინებს ჩვენი კორრესპონდენტი.

⁂ მთელს ახალციხეში ქართველ და რუს ქალებისათვის არსებობს ერთ-კლასიანი სასწავლებელი, რომელიც დაარსებულია ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების მიერ და რომელშიაც უსასყიდლოდ ასწავლიან. თხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც ეს სასწავლებელი გაიხსნა. პირველ წლებში ამისი საქმეები ძალიან კარგად მიდიოდა იმ დრომდის, ვიდრე „საზოგადოების“ თავ-მჯდომარედ და სასწავლებლის მზრუნველად იყო პატივცემული ანნა მუსხელოვისა. შემდეგში, როდესაც სხვა-და სხვა მიზეზების გამო, ამ პირმა თავი დაანება თანამდებობას, „საზოგადოების“ არსებობა და ზრუნვა სრულიად არ ეტყობა სასწავლებელს, რადგანაც არც საწევრო ფული შედის, ვერც სწავლა მიდის რიგიანად და არც სამოსწავლო რიგი და წესი სუფევს.

⁂ 21 აგვისტოს ტფილისის ციხეში პატიმარმა ლავრენტი ზულუმანოვმა დანით დასჭრა გვერდში და მარცხენა ხელში პატიმარი ტიგრან მასესოვი. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 18 აგვისტოს, ორთაჭალის ციხის ზემოდ, კლდეში იპოვნეს მკვდარი ახალგაზდა კაცი, კონსტანტინე იგნატიევი. გასინჯვამ აღმოაჩინა, რომ თოფი ჰქონდა მოხვედრილი პირში, საფიქრებელია, რომ თოფი გაუვარდა მაშინ, როდესაც გადმოვარდნილია კლდიდამ საქმე გარდაეცა გამომძიებელს.

# წერილი ლეჩხუმიდამ

ივლისის შუა რიცხვებში მობრძანდა სამეგრელოდამ ჩვენში რევიზიისათვის ახალი ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოს ეპარქიისა გრიგოლი. სამეგრელოს სამზღვრიდამ მოკიდებული სოფ. ცაგერამ-კიდის რაც შტატის ეკკლესიები არის, მასმა მეუფებამ ყველა მათგანი ინახულა. ხალხი და ეკკლესიის კრებულნი ყველგან აღტაცებულის მხიარულებით ეგებებოდნენ მღვდელთ-მთავარსა და ულოცავდნენ ამ ეპარქიის მწყემსად დანიშვნას. 18-ს ივლისს, დილის ათ საათზედ, მობრძანდა მასი მეუფება სოფელს ცაგერში, რომელიც ითვლება ამ ჟამად ჩვენის თემის შუა-გულ ადგილად. ადგილობრივი სამღვდელოება, აქაური სასამართლოს და ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, ერთი ნაწილი თავად-აზნაურობისა და მდაბიო ხალხი მას მეუფებას დახვდნენ საკრებულო ტაძარში; აქ ადგილობრივმა დეკანოზმა მღ. ლავრენტი ნემსაძემ მოახსენა შესაბამი სიტყვა და სთქვა სხვათა შორის, რომ თქვენმა მობრძანებამ გვასხარა და გვასიამოვნა ამა-და-ამ მიზეზების გამოვო, და დეკანოზმა განმარტა ეს მიზეზები. თქვენმა მობრძანებამვე მოგვცა იმედი, რომ შეგვისრულდება ყოველთვე, რასაც მოელოდება ჩვენი სასულიერო და საერო წოდება თქვენის ყოვლად უსამღვდელოესობისაგანაო.

ეკკლესიიდამ მღვდელთ-მთავარი წაბრძანდა მაზრის უფროსის ბ-ნ ალშიბაიას სახლში სადარბაზოდ. აქ ხელ-მეორედ წარსდგნენ ყველა ზემოხსენებულნი საერო და სასულიერო ხელის-უფალნი, პირად გაიცნეს ეპისკოპოსი გრიგოლ და ლოცვა-კურთხევა მიიღეს. იქიდამ მღვდელთ-მთავარი პირდაპირ წაბრძანდა ზემოხსენებულის დეკანოზის სახლში, სადაც იყო მომზადებული სადილი. სადილზედ მოწვეული იყო ყველა წარმომადგენელი ადგილობრივ დაწესებულებათა, იქ დამსწრე თავად-აზნაურობა და სამღვდელოება. სადილმა მეტად მხიარულად ჩაიარა. მასპინძელი კარგად მასპინძლობდა, სტუმართ ქართულად მოიღხინეს. მღვდელთ-მთავრის სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს ქ. გ—მა მოახსენა შესხმა. მღვდელთ-მთავარმა ყველას, ვინც-კი მას სადღეგრძელოდ სიტყვა სთქვა, ჩინებული და გრძნობით სავსე პასუხი მისცა.

მეორე დღეს, 19 ივლისს, მისმა მეუფებამ სწირა სრულის კრებულით. წირვაზე დაესწრო დიდ-ძალი ხალხი. საკმაოდ ვრცელი ტაძარი ცაგერის მონასტრად უოფილის ეკკლესიისა გაჭედილი იყო მლოცველებით. სამღვთო ლიტურღიის შესრულების შემდეგ მღვდელთ-მთავარმა სთქვა ქადაგება. ქადაგების საგანი იყო რამდენიმე მუხლი იმ დღის სახარებისა და მტკიცე მართლ-მორწმუნეობა ჩვენთა წინაპართა. ჩვენ პირველად მოვისმინეთ ქადაგება ყოვლად უსამღვდელოესის გრიგოლისა და, ჩვენდა სასიამოვნოდ, უნდა გსთქვათ, რომ იგი სწორედ ღირსეულად მომზადებული და განვითარებული ბრძანებულა თავის მაღალ-მნიშვნელოვან თანამდებობისათვის. მაღალი აზროვნობა, მჭევრ-მეტყველური ნიჭი და ჭეშმარიტი მამაშვილური გრძნობა ზრუნვისა სამწყსოსათვის—აი რა ეტყობოდა მღვდელთ-მთავრის მშვენიერს ქადაგებასა. მეტად სასიამოვნოდ იმოქმედა ამ მაღალ-აზროვან მოძღვრებამ იქ დამსწრე მსმენელებზედ. ამ დღეს სადილზედ მიწვეული იყო ეპისკოპოსი თავისის კრებულით და ყველა იქ დამსწრე საპატიო კაცნი ბატონ მაზრის უფროსთან. აქ ქართულს მკვლევურს ლხინსა და შექცევას სამზღვარი არა ჰქონდა; დიდიდამ პატარამდის ყველანი ემღეროდნენ სიხარულსა და აღტაცებასა. სადილის დასრულების დროს მასპინძელმა დალია სადღეგრძელო ყოვლად უსამღვდელოესისა და მოახსენა მშვენიერი სიტყვა. ეს სიტყვა თუმცა ვრცელი არ იყო, მაგრამ შინაარსით-კი მეტად საყურადღებო გვეჩვენა. მღვდელთ-მთავარი მეტად კმაყოფილი დარჩა ამ ნაირის სტუმართ-მოყვარეობისა და აღტაცებულის პატივის-ცემისათვის. მეორე დღეს, შვიდ საათზედ, ეპისკოპოსი გაემართა სვანეთისაკენ, სადაც, როგორც საბატონო და სადადიანო სვანეთის, ისე თავისუფალ სვანეთის ეკკლესიებსა და სოფლებს დაივლის.

მღვდელთ-მთავრის გაცილების შემდეგ ჩვენის საზოგადოების ყურადღება მიიქცია გუბერნატორის მობრძანების მოლოდინმა. მართლაც, 28-ს ივლისს მობრძანდა ლეჩხუმის მაზრაში რაჭიდამ ახალი სამხედრო გუბერნატორი, გენერალი გროსმანი. მაზრის უფროსი, მომრიგებელი შუამავალი და თავად-აზნაურობა მის აღმატებულებას დახვდნენ სამზღვარზედ, მდინარე ასკის ნაპირას. გუბერნატორმა ამ დღეს ინახულა ორის საზოგადოების სასოფლო სასამართლოები, ჭყვიშისა და ალპანისა. დაათვალიერა საქმეები, მისცა საჭირო დარიგება ხალხს და გაემართა უბრწყინვალესის თავადის გრიგოლ დადიანის მის [illegible]იანის სახლში, სოფ. სერმეშს, სადაც ეს თავადი ზაფხულს ატარებს ხოლმე ყოველ წელს. გუბერნატორმა ერთი ღამე გაათია იქ და მეორე დღეს მიბრძანდა ლაილაშში. აქ გუბერნატორი პირველად ჩამოხტა უგანათლებულესის პრინცის მიურატის სახლში, რადგან ამ ჟამად პრინცი თვისის უბრწყინვალესის სახლობით ლაილაშში ბრძანდება საზაფხულოდ. აქ გუბერნატორმა თვისის მხლებლებითურთ ისაუზმა და შემდეგ ჭნახა ბაზარი, მიიღო პურ-მარილი მოვაჭრეთაგან, მოისმინა მათი სათხოვარი, დაჭხედა სასოფლო სასამართლოს, იქ შეკრებილ სოფლის ხალხს და გაემართა ცაგერისაკენ. ცაგერამდის მხო-

მაგისი აზნაურები
მთაზედ მგლებურად წადგება,
უხორცოდ პურსა არ სჭამენ,
მინამ არ დაუმარხედება...

—

განა ლალი ვარ, რომა ვმღერ?
გულისა დარდსა ვიქავრი!
ვინაც ჩემზედ თქოს ლალია,
ესეთიმც ლალი ის არი!
ძმასამც მოუკლენ ლეკები,
მამასაც იმათ ისარი;
ნანდაურ სწორიმც მაუკლა,
არც უარესი ის არი!..

—

ნიკორამ უთხრა ლალასა:
—ლალავ, ნუ სჩადი მაგასა;
შაგიტყობს შენი პატრონი,
უღელს გაგითლის მაგარსა;
გაგითლის კაი სახრესა,
ამოგკრავს მაგარ-მაგარსა;
თივას-ქერს აღარ გალირსებს,
მოგიყრის ნაცარ-ნაგავსა!

—

სად მიხვალ, წყალო მდინარო,
ნაწურო მაღლის მთისაო!
ჩამოქმელო ლურჯაისაო,
ლალის ჰაზუკისაო,
...ზე გამამტანელო
...ისა, მათრახისაო!

—

იმერეთს რად გამათხოვე
თემურაზ, ჩემო მამაო,
ჭამა მამწყინდა ლომისა.
ვაჰმე, კახურო ყანაო!..

—

წინანდალს ვაზი ამშვენებს,
ახმეტას—ვაშლი წითელი,
ვაჟკაცსა ფარი და ხმალი,
მაიმწითუროს კისერი!

—

რა ბევრი მიტირებია,
რა ბევრი ცრემლი მდენია:
არც გული გამამიცვლია,
არც ამილია ხელია!
როდესაც მამაგონდები,
მედება ცეცხლის გენია!
სახსოვრად დამრჩა თვალ-წარბი,
ოქროს ულვაში შენია,
შენი ულვაშის ჩრდილები
შენს სახეზედა ჰფენია!
ირმებისა ხარ სტუმარი
მესამ-მეოთხე წელია;
აღარ ერგება ტყვიაი,
ძმაო, ნასროლი შენია;
თოფი ლიშანზედ მიეიდის,
წელთა ხმალი გრტყავ მჭრელია,
ნეტავი ჩავაგდებინა
შენის გუნების ცხენია!
თუ სამართალი ვერ გიყონ,
ამოსწყდეს ფშავის-ხევია,
ძირითამც ამოვარდება,
მგონია, თორმეტ თემია!
მოგიკლავ ცოლის წამყვანი,—
შენ სხვა რა წაგიხდენია?
დამიწერია ბარათი,
ზედ მამიწერავ ხელია,
გამამიგზავნავ მალვითა,
ძმაო, ბარათი ჭრელია;
არავინ დაგილალატოს,
არვინ მოგკიდოს ხელია...
სახელად თამარი მქვიან,
ეგრე თიკუნად ლელია;
ოთხ წელსა გგონებ შორითა,
სიყვარულ მეტად ძნელია!..
ტყეში ვერ ვიცნი შენ სახლნი,
არა მაქვ მოსასვლელია—
გამამეგზავნა პერანგი,
შენს ტანზედ ჩასაცმელია...
შენთანამც მამცა სიცოცხლე,
შენთანამც მამჭრა ყელია!..

—

გურგენმა სთქვა გულოვანმა:
—სიტყვას ვიტყვი, ძირს არ დავცემ;
კაცმ რომ კაცი ჩემთან მოკლას,
თვალს რომ მთხრიდეს, მას არ გავცემ!

—

კარგი ვარ იმას ნუ იტყვი,
თავს ნუ დაუწყებ ქებასა...
კარგი ჩვენც მოგვეწონება,
ცუდი არც თავის დედასა!

—

ჩემი ძმა მეხვეწებოდა—
უნდა შაირთო ცოლია.
იმან რომ ცოლი მამგვარა,
ყვითელი კომშის ფერია,
ორი სარტყელი ვუყიდე,
მესამე ჭია ფერია;
სამივ ერთურთს გადავაბი,
მძლივს დაუჭირა წელია.
იმ ხანებში მოვიყვანე,
რომ იყო ყველიერია,
ერთი ქილა ერბო მქონდა,
ყვითელი კომშის ფერია,
სამ დღეზე ისე შაჭამა,
ძირზედ მაუსვა ხელია!
მეზობლებში დაეკვეხა—
ნიგოზსაც მივაგენია...
ორი რძალი გამილახა,
მესამე დედაჩემია;
ახლა მე დამემუქარა—
შენ დამრჩი უცემელია...
ამისა მაყურებელსა
აღარ მამეცა ფერია!

—

ერეკლე ბატონიშვილი
განა უბრალო კახია?!
საგურამოში ლეკისა
ჯარ მარტომ შუა გახია!..

—

ცხენ-კარგის დედას დავენატრი:
ლაშქარს წინაწინ წადგება!
მემრე თოფ კარგის დედასა—
ერთის ნასროლით დარჩება!
მერე ცოლ-კარგის დედასა—
ქმრის სწორთ ლამაზად დაჰხვდება!

—

რად იტყვის კარგის ყმის ცოლი
დიდხანს ვიქმნები ქმრიანი?!
სიკვდილისა და მტრისაგან,—
ორისგანვე აქვს ზიანი...
წაუვა, დარდით მოკვდება—
ვაჰმე, თუ დავრჩე ტიალი!..

—

რად უნდა მოშავეთეთა
სამკლავე, საფუხარია?
მეც ჩამყვა სამარეშია,
მაგრამ ვერ მოვიხმარია!..
დანგრეულიყო საფლავი,
ჩამოდიოდა წყალია...
ბევრს ვაჟსა ჩამაუშალნა
აშურმიანნი მხარნია;
ბევრს ქალსაც ჩამაუშალნა
რვა-რვად ნაწნავნი თმანია!..
ამბობენ ბეწვის ხიდასა
რა ძნელი გასავლელია!?
ტრედივით გადაფრინდება,
ვინც რომ მადლისა მქნელია;
ვარდება კუპრის ალშია
ვინაც ცოდვისა მქნელია;
ძმა ძმისა მოღალატეი,
ნათლიის შემგმანელია...

ლოდ ერთი ალაგი იყო, საიდაც უნდა შეჩერებულიყო გუბერნატორი. ეს ალაგია სოფ. ორბელის სასოფლო სასამართლო. აქ რამდენიმე წუთი დაჰყო გუბერნატორმა, დაათვალიერა სასოფლო კანცელარია და გამოუმშვიდობა იქ შეკრებილ ხალხს. ნაშუადღევის მეხუთე საათზედ მიბრძანდა ცაგერში. ადგილობრივ ადმინისტრაციისა და სასამართლოს წარმომადგენელნი, ექიმი აქაურის თემისა ნოტარიუსით მის აღმატებულებას დახვდნენ მაზრის უფროსის კანცელარიაში. გუბერნატორმა მოისვენა ცოტა ხანს მაზრის უფროსის სახლში და საღამოს შვიდ საათზედ მაზრის უფროსმა აღმშიბაიამ სამხარი გაუმართა გუბერნატორს და ყველა იქ დამსწრეთა. მეორე დღეს თავად-აზნაურობამ გაუმართა გუბერნატორს სადილი ცაგერის ახლად გაშენებულს ბაღში. შუა-დღას მეოთხე საათზედ დაიწყეს ხსენებულს ბაღში პურისჭამა და გაჩაღდა ლხინი. საზოგადოებას საკვირველი მხიარულობა ემჩნეოდა; გუბერნატორის ამალას გარდა თავად-აზნაურობას მიწვეული ჰყავდა წარმომადგენელნი ადგილობრივ დაწესებულებათა. გარდა ამისა მეჯლისს ამშვენებდნენ სამეგრელოს უკანასკნელ მთავრის დავით დადიანის სიძე პრინცი მიურატი და გენერალ-ადიუტანტი უბრწყინვალესი თავადი გრიგოლ ლევანის ძე დადიანი, ადგილობრივ მოხელეთა პატივცემულნი მანდილოსანნი და სხვანი.

მეჯლისის დროს მოახსენა მის აღმატებულებას ბ-ნს გუბერნატორს სიტყვა ქ. გ—მა. გუბერნატორი კმაყოფილი დარჩა ამ გვარის მიღებისათვის და რამდენჯერმე მადლობა გადაუხადა საზოგადოებას. შვიდ საათზედ საზოგადოებამ მისი აღმატებულება ურას ძახილით გააცილა ბაღის კარამდის. ამავე საღამოს ათ საათზედ დანიშნული იყო მაზრის სამმართველოს რევიზია. რევიზიით აღმოჩნდა, რომ ამ ჟამად ხსენებულს სამმართველოში ყოველი საქმე თავის რიგზე სწარმოებს. ამის გამო გუბერნატორმა მადლობა უთხრა მაზრის უფროსს. მადლობა მიიღო გუბერნატორისაგან აგრეთვე სამმართველოს მდივანმა, ბ-ნმა ალ. გამრეკელმა. 31 ივლისს, დილის შვიდს საათზედ, გუბერნატორი დაბრუნდა ისევ ქუთაისში.

ურაველი

# რუსეთი

საკვირველი და საოცარი ამბავი მომხდარა ამ დღეებში პეტერბურგის ერთს სახლობაში. ამ სახლობაში 13 აგვისტოს ორს ადამიანს ერთად მოუკლავს თავი და ჯერაც არავინ არ იცის, რა ყოფილა მიზეზი ასეთის უბედურებისა. აი საქმე როგორ მომხდარა. ნევის პროსპექტზე ვაჭარ ჰაკკელს აქვს საკუთარი სახლები. ორი მოზრდილი ოთახი ცოლ-ქმარს პოსტიკებს აქეთ დაჭერილი. ქმარი იქნება ასე 28-30 წლისა და მსახურობს საექიმო დეპარტამენტში. ექვსის წლის წინად ამ პოსტიკს შეურთავს მეტად ლამაზი, ახალგაზდა და განათლებული ქალი, ეკატერინე, 17 წლისა. პოსტიკს ჰყოლია ერთი დიდის ხნის ამხანაგი და გულითადი მეგობარი, პესტიჩი, 34 წლისა, ხელობით ბეითალი, ანუ პირუტყვ საქონლის ექიმი, რომელიც იმავე საექიმო დეპარტამენტში თურმე მსახურობდა. ორივე მეგობრები კარგად იცნობდნენ ეკატერინეს, როცა ჯერ ისევ გასათხოვარი იყო და ხშირად დაიარებოდნენ იმასთან. შემდეგ, როცა ეკატერინე მისთხოვდა პოსტიკს, ცოლ-ქმარნი დიდის პატივის-ცემით ეპყრობოდნენ პესტიჩს, საუკეთესო მეგობრად მიაჩნდათ. პესტიჩი მუდამ და ყოველ ჟამს სასურველი სტუმარი იყო ამ ოჯახისა. ნაცნობებს კიდეც უკვირდათ, ასეთი სიყვარული და ნდობა როგორა აქვთ ამ სამს ადამიანსაო, და შეჰხაროდნენ იმათს ალუშფოთველსა და ტკბილს ცხოვრებას. ქმარი ისე ენდობოდა თავის მეგობარს, რომ მარტოდ-მარტო სტოვებდა თავის ახალგაზდა ცოლს თავის მეგობართან და გულში არავითარი ცუდი აზრი არ გაუვლიდა ხოლმე.

წლევანდელს ზაფხულს ეს სამი მეგობარი და ამათ გარდა კიდევ პოსტიკის ცოლის და, ყმაწვილი გასათხოვარი ქალი, და მისი ერთი დობილი მხიარულად ატარებდნენ დროებას. დადიოდნენ აქეთ-იქით ბაღებში, ესტუმრებოდნენ ხოლმე პოსტიკის ცოლის დას და მის დობილს, და ასე მხიარულობდნენ უზრუნველად და უდარდელად. 13 აგვისტოსაც პირობა შეჰკრეს, რომ დღეს ერთად ვისადილოთ ამა-და-ამ ნაცნობთან და დროებაც კარგად გავატაროთო. სადილად შეიკრიბნენ ყველანი: ზოგი ამ ხუთთაგანი სამსახურიდამ პირდაპირ მივიდა სადილად ნაცნობთან, ზოგი თავის სახლიდამ გაემგზავრა. პოსტიკის ცოლიც მოირთო თავის სახლში, უთხრა მოსამსახურეს, რომ მივდივარ ნაცნობთან და თუ დავიგვიანე, აბანოში ვიქნებიო. საღამოს 6 საათზე ქალი ისევ დაბრუნდა სახლში აჩქარებული და აღელვებული. მოსამსახურეს უთხრა, რომ აბანოში ვიყავი, დავიღალე და მინდა დავიძინო, ნუ გამაღვიძებო, ვიდრე ჩემი ქმარი არ დაბრუნდესო. საღამოს 9 საათზე მოვიდა მართლა მისი ქმარი, ცოლის და, ამ უკანასკნელის დობილი და ბ-ნი პესტიჩი. ამათ მიიღეს ეკატერინესაგან ბარათი, რომ დღეს სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ვერ მოვალ სადილადაო. ეს ბარათი, როგორც ამბობენ, ეკატერინეს გაუგზავნია ქმრისათვის ნაშუადღევის 5 საათზე, რაბოხის საკონდიტრო მაღაზიიდამ.

სადილიდამ დაბრუნებული, შეზარხოშებული და მხიარული ხალხი დიდის აჰბითა და სასიამოვნო ჟივილ-ხივილით შესულა სახლში, შეუღიათ კარი ეკატერინეს ოთახისა და საშინელი სურათი-კი დაუნახავთ. ახალგაზდა ქალი, საცვლების ანაბარად, ლოგინში წევს გულ-აღმა უძრავად, ზარდაშოსავით გაყვითლებული. დაუწყეს ძახილი და ქალი არც გაინძრა და არც ხმა ამოიღო. ყველა დარწმუნდა, რომ ქალი მკვდარი იყო. პატარა რგვალ სტოლზე იდგა ჭიქა, ნახევრად წყლით გავსებული, და წყალს ეტყობოდა, რომ შიგ სხვა რაღაც ნივთიერება უნდა ერეულიყო. ჭიქას ზედ ეფარა კონვერტი, რომელზედაც აკანკალებულის ხელით ეწერა: „საწამლავია“. შეიქნა ერთი უბედურება და წივილ-კივილი. თავ-ზარ დაცემული ქმარი ქვითინით დაეკონა ცოლის გაციებულს გვამს, მის დას გული შეუწუხდა. ამავე დროს, მეორე ოთახიდამ მოისმა რაღაც ყრუ ხმა, შემდეგ თითქო იატაკზედ რაღაც დაეცა მძიმედაო. ყველანი იმ ოთახისკენ გაექანნენ. აქ მეორე ადამიანს მოეკლა თავი. წივილ-კივილის დროს ამ ოთახში შესულა პესტიჩი, მეგობარი პოსტიკისა, და დაუცია საფეთქელში რევოლვერი. ტყვია ღრმად არ ჩასულიყო ძვალში; პესტიჩმა შეიძლო და თავისით წამოდგა ზეზე, მივიდა ტახტამდე და დაწვა ზედა. მაშინვე აფრინეს კაცი პოლიციაში, მალე მოვიდა ექიმიც. ქალს თავი მოუწამლავსო. პესტიჩს გრძნობა კიდევ ჰქონდა, ჰკითხეს თავი რად მოიკალიო, და პასუხად მარტო ესა სთქვა: ასე უნდა მომხდარიყო, ბოლოს... მე უნდა მოვკვდე იმ ქალთან ერთად... შემდეგ პესტიჩმა გრძნობა დაჰკარგა და სამკურნალოში წაიყვანეს.

მიცვალებულს ქალს ოთხი წერილი დაუტოვებია: ქმართან, დედასთან, თავის დასთან და პოლიციასთან მიწერილი. ოთხივე დიდის ხნით ადრე დაუწერია თავის მოკვლამდე. მიცვალებული პოლიციასა სწერს, რომ დიდი ხანია გადავსწყვიტე თავი მომეკლა და საჭიროც იყო; ნურავის ნუ დააბრალებთ ჩემს სიკვდილსა; ბოლოს სთხოვს, ნუ გასჭრით ჩემს გვამსა და, თუ მაინცა-და-მაინც საჭირო იყოს, ფრთხილად გასჭერით. დანარჩენის წერილების შინაარსი არ არის ჯერ გამოცხადებული. მაგრამ ის წერილებიც არავითარს შუქს არა ჰფენს ამ საოცარსა და იდუმალებით აღსავსე უბედურებასა. პესტიჩის სიკვდილიც უცბად მოხდა. ბარათი არა დაუტოვებია-რა. დაახლოვებით არავინ იცის, როგორ ცხოვრობდნენ ბოლოს ცოლ-ქმარი და მათი მეგობარი, რომ იქნება ამით მაინც გამორკვეულიყო რამე. ეს იციან მხოლოდ, რომ პესტიჩი ცოლ-ქმართან დაიარებოდა მუდამ, ყოველ ჟამს. ამ ორთა სიკვდილმა საცოდავს პოსტიკს თავ-ზარი დასცა და გული მოუკლა. იმ ღამესვე ცოლის დამა და მისმა დობილმა პოსტიკი წაიყვანეს ქალაქ გარედ აგარაკში. მის ცოლის გვამს მთელს ღამეს სახლის მცველნი და პოლიცია დარაჯობდა.

— საერო განათლების მინისტრის ბრძანების ძალით დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ ორდინარი პროფესორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, სტატსკი სოვეტნიკი კოვალევსკი, 1887 წლის 2 ივნისიდამ.

# წვრილი ამბები

— სულთანს ჭარამხანის ახალ საჭურისად და ხაზნად დაუნიშნავს მერიმედდინ-აღა.

— გლადსტონი ამ დღეებში მომხრობის ლამანშს ქვეშ გვირაბის გაყვანის აზრს და ამის თაობაზედ სიტყვაც უთქვამს: „ყურ ქდუარდ უატკინი,—უთქვამს გლადსტონს—ეკუთვნის იმ „არა-წმინდა“ კაცთა რიცხვს, რომელთაც ჰსურთ ინგლისი და საფრანგეთი გვირაბით შეუერთონ ერთმანერთს. თუმცა ჩემთვის მძლიერ, მაგრამ უნდა გამოვაცხადო, რომ მეც ვეკუთვნი იმ გვირაბის გაყვანის მსურველთა რიცხვს და უატკინის წადილი ჩემი წადილიც არის ამ შემთხვევაში“. გლადსტონი პირველი კაცია ინგლისის სახელმწიფო კაცთა შორის, რომელსაც ლამანშს ქვეშ გვირაბის გაყვანა მოიწონა და, უეჭველია, გლადსტონის მაგალითს ბევრი მიჰბაძავს. გლადსტონის წინაშე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთად-ერთმა ბრაიტმა მოიწონა თურმე გვირაბის გაყვანა და გლადსტონის აზრს დაეთანხმა.

— ამ ორის თვის წინად საფრანგეთში დაიბეჭდა პატარა წიგნაკი „Mal d'Orient“-ი, რომელშიაც აღნიშნული იყო ყოველივე ნაბოროტ-მოქმედარი ოსმალეთის მთავრობისა. სულთანი ძალიან ადევნებს თვალს ბეჭდვითს სიტყვას, მაშინვე ხელში ჩაუვარდა ეს წიგნაკი, წაიკითხა და რომ ხელი შეუშალა მის გავრცელებისათვის, ბრძანება მისწერა საფრანგეთში ოსმალეთის საელჩოს, რომ წიგნის „Mal d'Orient“-ის მთელი გამოცემა შეისყიდეთო.

კიდევ კარგი, თუ ასად-ფაშა, ოსმალეთის ელჩი პარიჟში, მოიფიქრებს და პირობით შეეკვრება წიგნის ავტორსა და გამომცემელს, რომ ახალი გამოცემა არ

დედას, ობლების დამჩრელსა
ყელზე ჰხვევია გველია[40])...

—

ბოროლას შავნი ღურბელნი
ორსავ-კუთხივა ჰკრიანო,
უხარის ერთმანერთისას,
შაყრას ძლივს მოელიანო;
როდესაც შაიყრებიან,
მანანას ჩამაჰყრიანო..

—

დათოვნა არშისა მთანი,
კალთანი ალგეთისაო...
წარბნი მომწონან, წამწამნი,
შენ რომ ხარ მაგეთისაო!

—

—ჯიხვო, გუნება მძიმეო,
რამ გადმოგაგდო კლდიდამა?—
— კილო წითელმა ისარმა
და მშვილდმა ჩემის რქისამა!..

—

თავფარავნელი ჭაბუკი
ზღვას გაღმა ქალსა ჰყვარობდა,
შუა ზღვა ჰქონდა საველი,
სიარულს არა ზარობდა;
შავსა მდულარე ტბაშია
ცურვით თევზებსა სდარობდა;

ქალი უნთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტაროობდა.
ერთი სულელი ბებერი
იჯდა და აბეზაროობდა;
ქალსა გაუქრო სანთელი—
შენ ეგ დიდხანსა გყვაროობდა...
გზა აერივა ვაჟკაცსა,
შუა-ზღვას ბობოქაროობდა.
მეორე დილა გათენდა,
სოფელი რასმე ჯავრობდა,—
დედის ერთაის გულზედა
ისხდა ორბები, ხაროობდა...

—

მაშინ სად იყავ შავბედო,
როცა ჩემ ხმალი წრთებოდა?
ცა ჰქუხდა, მიწა გრგვინავდა,
სამჭედლო ექანებოდა!..
მჭედელი, მემჭედურები
ერთმანერთს ეფარებოდა!..

—

—ენა ჰაკჰიკ-მერცხალს გიგავ[41]),
ინდოეთით გამოსულსა;
ტანი ლერწამ-ჩალას გიგავ,
ზღვის პირს ნერგად ამოსულსა!
შამინახე, როგორც ძმამა,
შეგაფიცებ ფშავლის რჯულსა...
— თუ დასავით ვერ დაგინდო,
ღმერთიმც ამომართმევს სულსა!

გაეხდე თოფის ანაწერი,
ხმალს შაეეჭრა გალესულსა!..

—

სამჯერ გადახტა-გადმოხტა
წყალს ლეგა ბაზდეთისასა[42]),
სამჯერავ კარგა უშველა
ქმარს ემა თავის დისასა.

—

ერთგულის მოღალატესა
ღმერთმ გიყვას სამართალიო!
სამჯერ გეხვეწე, თორღვაო,
სამჯერ დაგიკალ ცხვარიო,
მეოთხე შახვეწნაზედა
თეთრი ქორაი ხარიო...
არ დაიჯერე, თორღვაო,
ფშაველს არ მამეც ზავიო:
მარჯვნისას ჩამოგიარე,
მარცხნისას მოგეც ძალიო;
გატირე ორის თვალითა,
როგორც ქმარ-მკვდარი ქალიო!
გაბოძებინე მუხლები,
მშვილდი, ბოძალდის ტარიო...
თორღვავ, ნუ დამემდურები
ბოძალდს ვერ მივეც ძალიო!
ვარ შვიდს წელს ნაავდარი,
სამსა-კი—ნაცივარიო...

—

სწორს სწორის მოღალატესა
ხიდნიმც წყლად ჩაუცვივიან,

მშვილდიმც გაუგლეჯს სამბურსა,
ისარნიმც ჩაუცვივიან!..

—

კარგს ყმას შაჰყვარდი, ქალაო,
ნუ—სახლსა ცხვარ-ბევრისასა,—
ბევრი ცხვარი და ქონება
მუხლს მოაქვს კარგის ყმისასა!..

—

კაცსა, ღვთისა გაჩენილსა,
თვალი უზის ეშმაკისა:
შინ რომ ჰყვანდეს კარგი ცოლი,
გარეთ ისრივ მოსწონს სხვისა!...

—

შაგეთხს[43]) ჰკითხეს მოყმესა:
—შენ ქონებისა რა გერგო?
—ნეტავი ჩემი ბედი-დღე
მე სიცოცხლეშივ გამეგო!..
ის ჩემი ციხე-დარბაზი
შუა შარაზე ამეგო,
შიერისად პური მეჭმია,
გაყინულ ცეცხლთან გამეთბო,
ამთენის ცოდვის მოქმედსა
სული მით მაინც მამეგო!...

—

თათარა ჯალაბაურის
შვილს ყამარაძე ჰქვიანო;
ქავს გარეთ ციხე ააგო,
კუთხს ირმის რქანი ჰკრიანო;
აჰკიდებია ფშაველებსა,—

ჰკვა მაგას არა ჰქვიანო!..
მისცვივდეს ფშაველი შვილები,
ცხოვრებას აუშლიანო,
იმის ქავსა და ციხესა
სიმურში გადაჰყრიანო!...

—

მაღლაით მოვლენ ღურბელნი,
გორებზე დაეკიდება...
ჯავრს ნუ მიუშვებ გულზედა,
გულს ჟანგი მოეკიდება;
ჯავრის მიმყოლსა ვაჟკაცსა
რა კარგი წაეკიდება:
ჯანი და ღონე წაუვა,
გმირობა გაეყიდება..
ასადგომ ნელად აიწევს,
არგანზე[44]) დაეკიდება!..

—

თოფის ხმა ჭიუხებშია[45])
ვაჟკაცსა იამებაო;
ვაჟკაცს ტყვიაით დაჭრილსა
არ უნდა ზიარებაო;
მოკვდება, დამარხვა უნდა,
არ უნდა გვიანებაო!..

[40]) ფშავში დიდი სირცხვილი და ცოდვად ითვლება, რომ ქვრივმა, მეტადრე გაუშვილის დედამ, ობლები დასტოვოს და მეორედ ქმარი შეირთოს.

[41]) წაწლობის ლექსი

[42]) სოფელია ქისტეთში

[43]) საიქიო

[44]) არგანი უძლურისათვის ყავარჯენი.

[45]) წვეტიანი კლდეები.

დაიბეჭდოს, თორემ ისეთად არ დაუჯდება ისმაილოთს ამ წიგნის გაუვრცელებლობა: გამომცემელი რამდენსაც შეიძლებს, ჩქარ-ჩქარა გამოსცემს და იმედი აქვსო, რომ წიგნს მყიდველი ჰყავს, ერთად-ერთი მყიდველი, სულთან ჰამიდი.

— ამას წინად კაპიტანს რენარს პარიჟში გამოუგონია ერთ გვარი მესანიშნე, რომლითაც ადვილად შეიძლება თურმე ჰაეროსტატის ჰაერში მართვა. უეჭველია, ეს ახალი მოგონება დიდს შემწეობას აღმოუჩენს ფრანგებს, რადგან ჰაეროსტატით შეიძლება ომის დროს მტერთა ჯარებს თვალ-ყური ადევნონ. იმის გამოისობით, რომ არავინ გაიგოს ეს ახალი მოგონება და არავინ ისწავლოსო, კაპიტანი რენარი დიდის სიფრთხილით იქცევა: მესანიშნის ცალკე ნაწილები და აგრეთვე ჰაეროსტატისაც სხვა-და-სხვა ქვეყნებში შეუკვეთია. როცა ყველა ნაწილები დამზადდება და მოუვა, თვითონ რენარმა უნდა შეჰკრიბოს, შეაეროს და გაჰმართოს. მომავალ თვეში აპირობენ ამ ახალად მოგონილის გამოცდასა.

## გასართობი

ამას წინად ჩვენ გასართობში გვქონდა მოქცეული, რომ ნიუ-იორკის ფოსტის უფროსმა წერილი მიიღო შემდეგის ზედ-წარწერით: „გაუხსნელად გარდაეცით ნიუ-იორკის უველაზედ ლამაზსა და სათნო ქალსა", და საბრალო ფოსტის უფროსი დიდს გაჭირებაში იყო, არ იცოდა რა ექნათ. ეხლა, გაზეთების სიტყვით, ფოსტის უფროსს გადაუწყვეტია და ნიუ-იორკის გაზეთებში შემდეგი განცხადება დაუბეჭდვინებია:

„ფოსტის იმ განყოფილებაში, სადაც „მოთხოვნილებისამებრ" წერილები რიგდება, ერთი მეტად საყურადღებო წერილია, „ნიუ-იორკის უველაზედ ლამაზ და სათნო ქალის" გადასაცემად მილებული, და გაცხადებთ, რომ პატრონმა რაც შეიძლება ჩქარა გაიტანოს ეს წერილიო". სამის დღის განმავალობაში ფოსტაში 9,000 ქალი მისულა ამ წერილის მისაღებად, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავისათვის გადაუციათ.

**

ნიუ-იორკშივე ამ რამდენისამე კვირის წინად ექიმს ჯაკსონს წაუკითხავს ლექცია ადრე და მალე თმის ჩამოსვლაზედ თავიდგან. ამ ექიმის აზრით, ხალხს ადრე თმა იმ მიზეზით ჩამოსდით, რომ მეტად მაგარსა და მოჭერილს ქუდებს ატარებენო. მაგალითებრ, სასტუმროების მსახურთ, რომელნიც უმეტესად თავ-შიშველა დადიან, ძნელადა და იშვიათად თუ თმა ჩამოუვიდეთ და გამელოტდნენო. ამას გარდა, ნადირ-ხალხნი, რომელნიც ქუდს სულ არ ატარებენ, არასოდეს არა მელოტდებიან, თუ არ ღრმა სიბერეში და ისიც იშვიათად. ქალებსაც იშვიათად ჩამოსდით თმა, რადგან იმათ ქუდები, შლიაპები თავისუფლად ახურიათ თავზე და არც ხშირად იხურავენ, უმეტესად თავ-მოხდილნი არიან. ამასთან ისიც უნდა დავუმატოთ, რომ კაცებს უმეტესად ის თმა ჩამოსდით, რომელიც ქუდ ქვეშა ჰქონიათ მოქცეული, და ის თმა-კი, რომელიც ქუდს გარეთა რჩება, არასოდეს არ ჩამოსდითო.

**

რაკი ექიმზედ ჩამოვაგდეთ ბაასი, მეტი არ იქნება მკითხველს ვუამბოთ ორიოდე სიტყვა ბალეარის კუნძულების ექიმებზედაც. ამ კუნძულებზედ თითქმის ყველა წარჩინებულს კაცსა ჰყავს თავისი სახლის ექიმი შემდეგის პირობით. სახლის ექიმი ვალდებულია ყოველ-დღე დილით, დანიშნულ ვადაზე იაროს ამ წარჩინებულ კაცის სახლში. ექიმს კარებში დახვდება მსახური, რომელიც ცალკე ოთახში შეიყვანს. ამ ოთახში საუზმეა გაშლილი და დამზადებული და საუზმის გვერდზედ ათი შაური დევს—ექიმის ჯილდოა ეს ათი შაური. ექიმი ფულს ჯიბეში იდებს, საუზმეს შეექცევა და ისე გამოდის ამ სახლიდამ, რომ მსახურის მეტს არავისა ჰხედავს. ასე გადის დღე, კვირა, თთვე, წელიწადი: ექიმი ყოველ-დღე ფულს იღებს, საუზმეს შეექცევა და ავადმყოფი ადამიანის გამსინჯავი-კი არ არის. რა-კი საუზმესთან ფულიც აწყვია ყოველ-დღე, ამით ექიმი იტყობს, რომ, მადლობა ღმერთს ყველანი ჯან-მრთელად და ჯან-სალად არიანო. თუ საუზმესთან ექიმმა ფული ვერ დაინახა, ეს იმასა ჰნიშნავს, რომ სახლში ვილაც გამხდარა ავად და ამიტომ ექიმი ავადმყოფთან შეჰყავთ. ვიდრე სახლში ავადმყოფია, ექიმს გროში ფული არ ეძლევა. ფულის ძლევა იმ დროდგან დაეწყობა კვლავ ექიმსა, როცა სახლში ყველანი ჯან-სალად და ჯან-მრთელად იქნებიან.

მგონი, რომ კარგი წესები უნდა იყოს, არა, მკითხველო?! ძნელად თუ ამ ბალეარის კუნძულების წარჩინებულ კაცთა ავადმყოფობამ დიდხანს გასტანოს. იქ ექიმი ავადმყოფობის გაძნელებას-კი არა სცდილობს, როგორც ზოგიერთი ჩვენი დალოცვილი ესკულაპები იქცევიან, რა არის ფული მივიღოთ, პირ-იქით, ექიმის ყოველივე ძალლონე და გამოცდილება იმაზეა მიმართული, რაც შეიძლება ჩქარა მოვარჩინო ავადმყოფი, რომ ჩემი ულუფა ისევე მეძლიოსო. ფას ევროპავ ამ მხრივ ბალეარის კუნძულებთან!

## დეპეშა

20 აგვისტო

სევასტოპოლი. დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე წავიდა ქ. ნიკოლაევს.

ვენა. ერთს ჩინეთის ქალაქში, ჩუგუჩაგში, რომელიც ჩასუნგარიაში მდებარეობს, მოხდა მხედართა ამბოხება. ეს ამბოხება დღეს მოსპობილია კიდეც. რუსეთის ვაჭრები, რომლებიც აქედგან გამოიქცნენ ამბოხების გამო, უკანვე დაბრუნდნენ.

ბერლინი. დღეს იმპერატორის თანადასწრებით დათვალიერებულ იქმნა გვარდიის კორპუსი.

ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ მემკვიდრე პრინცი უკეთ იმყოფება და საშიში არა მოელის რა.

თეირანი. ამბობენ, ვითომ ეიუბხანი ჯერ კიდევ სპარსეთშია, მაგრამ ავღანისტანის სამზღვრის მახლობლად-კი იმყოფებაო.

სოფია. სტამბულოვმა უარი სთქვა, ახალს კაბინეთს ვერ შევადგენო. ეს საქმე მიანდვეს ქივკოვსა.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა ასწია დისკონტი 3%-დგან 4%-მდე.

პეტერბურგის ბირჟა, 18 ს აგვისტოს

ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 19 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 177½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — » | — » |
| — მეორისა . . . . | — » | — » | — » |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — » | — » | — » |

## „ივერიის" ფოსტა

ხიდველ კოდას, ქ—ნს ეკ. გ—ლისას. თქვენი წინადადება კარგია და კიდევაც გამოვაცხადებთ, უკეთუ მანდედამ გამოჰგზავნით რამდენსამე, რომ ამით საძირკველი ჩაეგდოს საქმეს. უამისოდ არა გამოვა-რა.

ქუთაისს, აზნაურს პ. ბ. გ—რიას. თქვენმა წერილმა ღრმად დაგვარწმუნა, რომ თქვენ „გატეხილი" არა ბრძანდებით, და თქვენის წერილის დაბეჭვდა საჭიროდ არ მიგვაჩნია.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—ყოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აგვისტო 31 დღით არის.

**22 დღე შაბათი.** მოწ. ანთონიკესი, ქალწ.-მოწ. ევლალიასი. კათოლ. სიმფერიონასი და ტიმოთესი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუადღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—27, ჩადის 6—31. მთვარე 16 დღისაა.

**23 დღე კვირა.** მოწ. ლუპპასი, ირინე ეპისკ. ლიონისა. კათოლ. ფილიპპესი და ლეოკადიისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვის ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—28, ჩადის 6—30. მთვარე 17 დღისაა.

**24 დღე ორშაბათი.** მღვდ.-მოწ. ევტიხისა. კათოლ. ბართოლომეოსი და ტერეზიასი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ეიდი-კადირი-ხუმი. ჭეშმარიტი შუადღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—29, ჩადის 6—28. მთვარე 18 დღისაა.

**25 დღე სამშაბათი.** წმ. მოწ. ბართოლომესი და ტიტესი. კათოლ. წმ. ლუდოვიკისა და ალმასი. სომეხ. იოაკიმისა და ანნასი, წმ. ღვთის-მშობლის მშობელთა. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა. აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—30, ჩადის 6—27; მთვარე 19 დღისაა.

**26 დღე ოთხშაბათი.** წმ. ანდრიანესი და ნატალიასი. კათოლ. ვიქტორისა და ალექსანდრასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—31, ჩადის 6—25; მთვარე 20 დღისაა.

**27 დღე ხუთშაბათი.** ღირსისა პიმენ დიდისა. კათოლ. ცეზარისა და იულიასი. სომეხ. წმ. იერემია წინასწარ.-მეტყ. მუსულ. მე 21 რიცხვი თთვისა ზილ - ჰიჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—32, ჩადის 6—23; მთვარე 21 დღისაა.

**28 დღე პარასკევი.** ღირსისა მოსესი; წმ. მოწ. ქართველთა დედოფლისა შუშანიკასი, სომეხთ მთავრის წმ. დიდის გარდან მამიკონიანის ასულისა. კათოლ. ავგუსტინასი და ჰერმეტისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57 ტფილისში მზე ამოდის 5—33, ჩადის 6—21; მთვარე 22 დღისაა.

**29 დღე შაბათი.** თავის-კვეთა წმ. წინა-მორბედისა და ნათლის-მცემლისა იოანნესი. კათოლ. თავის-კვეთა წმ. იოანნესი. სომეხ. წმ. მოციქ. თომასი, იაკობისა და სვიმეონისა. ნახატონაქი. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 5—34, ჩადის 6—19; მთვარე 23 დღისაა.

**30 დღე კვირა.** წმ. ალექსანდრესი, იოანნესი და პავლესი. კათოლ. ფელიქსესი და როზასი. სომეხ. წმ. ღვთის-მშობლის სარტყლის პოვნა. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-24 დღე თთვისა ზილ-ჰიჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა. სახელ-წოდება მისის უდიდებულესობის იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 5—35, ჩადის 6—17; მთვარე 24 დღისაა.

**31 დღე ორშაბათი.** წმ. ღვთის-მშობლის სარტყლის პოვნა. კათოლ. რაიმუნდისა და რეფინისა. სომეხ. წმ. სტეფანე ულნელ., გოაპინისა და სხ. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 6—36, ჩადის 6—15; მთვარე 25 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 » |
| » 2 » | 2½ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 » |
| » » 2— | 3½ » |
| » » 3 » | 3 |
| ჯვარის მამის პურის ღვაკაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 » |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 » |
| მე-3 — . . . | » » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა . | 7 » |
| » 2 » | 6 » |
| სუკი . . . . | 13 » |
| ცხვრის ხორცი . . . | 7 » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » » |
| » 2 » | » » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საღამოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამხლვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

### განცხადება

სოფელს წინამძღვრიანთ-კარში, დუშეთის მაზრაში, ტფილისის გუბერნიაში (საგურამოს ველში), ოთხი წელიწადია, რაც არსებობს სასოფლო მეურნეობის სკოლა პირველდასაწყისის მოსამზადებელის კურსით, ფერმით და სახელოსნოთი. წლევანდლამდე გახსნილი იყო ოთხი განყოფილება, ხოლო ამა 1887 წლის 1 სექტემბრიდამ მოემატება პირველი სპეციალური კლასი.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს საგნები:

ა) სალმრთო რჯული;

ბ) რუსული და ქართული ენები;

გ) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია;

დ) მამულის შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა;

ე) ზოოლოგია, ბოტანიკა და მინეროლოგია;

ვ) მიწის შემუშავება, ხეხილისა და ვაზის კეთება, ბოსტნეულობა, ფუტკრის გაშენება, პირუტყვის მოვლა, სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა და ტეხნოლოგია;

ზ) ჰიგიენა და პირუტყვთ-მკურნალობა;

Ѳ) ხატვა;

თ) ხორით გალობა;

და ი) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა, ჩილინგდრობისა და ბოჩკის კეთებისა.

წელს ხუთ სექტემბერს იქმნებიან მიღებულნი ჯან-მრთელნი ბავშვები არა ნაკლებ ათის წლისა-ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სკოლას ჯერ-ჯერობით არა აქვს გამართული პანსიონი და ამისათვის სხვა-და-სხვა დაშორებულ მხრიდგან მობარებული სკოლის შეგირდები იქმნებიან მოსიარულენი დროებით, მანამ დასრულდება უკვე დაწყებული შენობა ყმაწვილების სადგურისა. ყმაწვილები სარგებლობენ უფასოდ ყველა სასწავლო ნივთებით და აგრეთვე საჭირო წიგნებით. გამოცდა ყმაწვილებისა არ იქმნება.

ვისაც ჰსურს მიაბაროს თავისი შვილი სასოფლო მეურნეობის სკოლაში, იმან უნდა წარმოადგინოს ყმაწვილი 1 სექტემბერს სოფ. წინამძღვრიანთ-კარში, რომელიც მდებარეობს მცხეთიდამ თორმეტ ვერსტზედ, და განუცხადოს იქ კრებას პირად ანუ წერილით თავისი სურვილი და უშოვნოს ყმაწვილს სოფელში ბინა. ყმაწვილებს არ მოეთხოვებათ არა რაიმე მოწმობა.

მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვრიშვილი

(6—3)

## ისყიდება

დუშეთის მაზრის სოფელს მჭადიჯვარში: ძველი ღვინო, ხორბალი, ქერი, თივა, ბზე და ღორი. (10—6)

## ЖУРНАЛЪ

### „Графическія искусства и бумажная промышленность"

Содержитъ полный и подробный обзоръ новѣйшихъ открытій и усовершенствованій по техникѣ и статистическій обзоръ финансовъ въ интересахъ бумажной и графической промышленности. Вполнѣ замѣняетъ собою заграничные односторонніе, но дорогіе журналы. Обсуждаетъ спеціально: бумажную промышленность и торговлю, книгопечатаніе, камнепечатаніе, переплетное и граверное мастерства, фотографію и т. п.

**Годовой абонементъ съ пересылкою 6 р.**

Допускается разсрочка по третямъ.

*Пробный номеръ высылается безплатно.*

Дозв. ценз. Тиф. 21 августъ, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე